



ევროკავშირი
საქართველოსთვის



დაძმობილების პროექტის საინფორმაციო ბიულეტენი 2023 წ. მაისი

საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული
სააგენტოს (GEOSTM) გაძლიერება საერთაშორისო /
ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად

Implemented in partnership with:
პროექტს ახორციელებს:



დაძმობილების პროექტის საინფორმაციო ბიულეტენი

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დაძმობილების (ტვინინგ) პროექტის "საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (GEOSTM) გაძლიერება საერთაშორისო/ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად"(GE 18 ENI EC 05 21) საინფორმაციო ბიულეტენი



ეროვნული სარკისებრივი კომიტეტის ტრენინგი

2022 წლის 19-20 სექტემბერს ჩატარდა ტრენინგი ეროვნული სარკისებრივი კომიტეტებისადმი. ტრენინგის მოდერატორი – ტექნიკური ექსპერტი, ქ–ნი ედენა მოკო (UNI-იტალიის სტანდარტიზაციის ორგანო). ღონისძიების დროს განხილული იქნა კონკრეტული ტექნიკური კომიტეტები: - CEN/TC 250 "სტრუქტურული ევროკოდები" - CEN/TC 250/SC 10 "EN 1990 სტრუქტურული პროექტების საფუძვლები" - CEN/TC 250/SC7 " ევროკოდი 7 - გეოტექნიკური პროექტი" - CEN/TC 275 CEN/TC 275 "სასურსათო ანალიზი - ჰორიზონტალური მეთოდი".

ტრენინგის დროს მონაწილეებს - GEOSTM-ის ტექნიკურ ოფიცრებს და დაინტერესებულ მხარეებს – ჰქონდათ შესაძლებლობა გაეცვადათ მოსაზრებები თავიანთი გამოცდილების და ეროვნული სტანდარტიზაციის ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ, ასევე თუ როგორ შეიძლება ეს გამოცდილება იქნას დაკავშირებული საქართველოს სარკისებრივი ეროვნული კომიტეტების მომავალ საქმიანობასთან. ტრენინგის დროს დაინტერესებული მხარეებიდან მიღებული გამოხმაურება დადებითად შეფასდა. დამსწრე ექსპერტები მზაობას გამოხატავენ მომავალ სემინარებში მონაწილეობის მიღებასთან მიმართებაში.

სტანდარტიზაციის სფერო

თარგმნის პროცესების პროექტირება და დანერგვა

2022 წლის 3-4 ოქტომბერს ტექნიკურმა ექსპერტებმა, ბ-მა ჯან დუკა სადერიომ და ქ-მა დიბა ინვერსინიმ (UNI-იტალიის ეროვნული სტანდარტიზაციის ორგანო) თარგმნის პროცესების პროექტირება და აღნიშნულის/UNI-ს პრაქტიკის შესაბამისად დანერგვის მეთოდოლოგია წარადგინეს. ტრენინგმა წარმატებით ჩაიარა, ის იყო ძალიან ინტერაქტიული და მოიცავდა ბევრ პრაქტიკულ სავარჯიშოებს, რომელიც GEOSTM-ის პერსონალისთვის აქტუალური და საინტერესო გახდა.



UNI-ს მიმართ ჩატარებული აქტიობა GEOSTM-ში



ტრენინგი ეროვნულ სარკისებრივ კომიტეტებთან დაკავშირებით. 2022 წ. სექტემბერი

მეტროლოგიის სფერო



დაკალიბრების პროცედურის ანალიზი - წნევის გამოშვები

2022 წლის 21-23 სექტემბერს Twinning პროექტის ტექნიკურმა ექსპერტმა, ლომენიკო მარიმ, (INRIM - იტალიის მეტროლოგიის ეროვნული კვლევითი ინსტიტუტი) საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წნევის დაბორატორიის თანამშრომლებისათვის ჩაატარა ტრენინგი EN ISO/IEC 17025:2017 მოთხოვნების შესაბამისი ტექნიკური პროცედურებისა და მათთან დაკავშირებული დოკუმენტების საკითხებზე. ტრენინგი ძალიან სასარგებლო იყო როგორც დაბორატორიის თანამშრომლებთან კავშირების დამყარების, ასევე დაბორატორიის საჭიროებების გამოვლენის თვალსაზრისით. დაბორატორიის თანამშრომლები დიდი ინტერესით გაეცნენ ექსპერტის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, რომელიც ძირითადად ეხებოდა ტვირთდგუშეის მანომეტრებს და მათთან დაკავშირებული უზუსტობების შეფასებას პროცედურას.



წნევის დაკალიბრების ხელსაწყოების ანალიზი. 2022 წ. სექტემბერი

დაკალიბრების პროცესის ანალიზი - ტემპერატურის და ტენიანობის გამოშვები

2022 წლის 21-23 ნოემბერს, პროექტის რიდერი და ტექნიკური ექსპერტი, ვიტო ფერნიკოლა (ACCREDIA - იტალიის ეროვნული აკრედიტაციის ორგანო) ესტუმრა საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ტემპერატურისა და ტენიანობის დაბორატორიებს, შეხვდა დაბორატორიების ექსპერტებს და მათთან ერთად განიხილა ტემპერატურისა და ტენიანობის სექტორებში არსებულ ვითარება და საჭიროებები. პროექტის ტექნიკურ ექსპერტს მიეცა შესაძლებლობა, შეხვედროდა დაბორატორიების თანამშრომლებს, გაცნობოდა დაბორატორიაში არსებულ ხელსაწყოებს/აღჭურვილობასა და მათთან ერთად ესაუბრა დაკალიბრებისა და გამოშვების შესაძლებლობების კუთხით არსებულ ვითარებაზე. შეხვედრამ წარმატებით ჩაიარა. საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებსა და ექსპერტს მიეცათ შესაძლებლობა, ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ საკუთრი ცოდნა და გამოცდილება და განეხილათ ამ დარგის სამომავლო მიზნები და თანამშრომლობის საკითხები.



GEOSTM - წნევის კალიბრაციის მოწყობილობების ანალიზი. 2022 წლის სექტემბერი



სემინარი სამშენებლო მასალების სტანდარტების შესახებ

CPR-ის შესავალი და ცემენტის, არმატურის და თაბაშირის სტანდარტები

2022 წლის 27 ოქტომბერს ტექნიკურმა ექსპერტმა, ბ-ნმა მარკო დე გრეგორიომ (UNI) ჩაატარა ტრენინგი სამშენებლო პროდუქტების რეგულაციის ძირითადი ელემენტებისა და შესაბამისი ჰარმონიზებული სტანდარტების წარმოსაჩენისა განხილვის მიზნით. ძირითადი განხილვის საკითხები:

1. სამშენებლო პროდუქციის რეგულაციის ელემენტები
2. თაბაშირის ნაწარმის სტანდარტი
3. ცემენტის ნაწარმის სტანდარტი
4. არმატურის ნაწარმის სტანდარტი.

წარმოდგენილი იქნა ფოტო მასალები პროდუქციის აღწერილობისა და კლასიფიკაციის შესახებ. ტრენინგის მიზნები მიღწეულ იქნა. აუდიტორიის მხრიდან გამოჩენილი ინტერესის მეშვეობით სესია ინტერაქტიურ ხასიათს ატარებდა.



სასტუმრო Holiday Inn - სემინარი სამშენებლო პროდუქტების სტანდარტებზე - CPR-ის შესავალი და ცემენტის, არმატურის და თაბაშირის სტანდარტები.

ტრენინგი MID-ზე, NAWI-ზე, ავეჯ ადვოკატურების და რეფრაქტომეტრების შემოწმებაზე

2022 წლის 28 ნოემბრიდან 2022 წლის 2 დეკემბრამდე, ტექნიკურმა ექსპერტმა, ქ-ნმა აღისია საეგ სერანომ და ბ-ნმა ვისენტ იაგუ ადვარაზიმ, CEM (ესპანური მეტროლოგიის ცენტრი), ტრენინგი ჩაატარეს, რომელიც ეძღვნებოდა სუნთქვის ანალიზატორების გადამოწმებას, MID და NAWI-ს ევროპული სამართლებრივი ჩარჩოს, სტანდარტული ნიმუშების, ეთანოდის წყაღში წარმოებასა და რეფრაქტომეტრების შემოწმებაზე. მოყვანილი იქნა პრაქტიკული მაგალითები, ტრენინგი წარმატებულად განხორციელდა და მონაწიდეების მიერ დადებითად შეფასდა.



ტრენინგი, რომელიც მიეძღვნა ადვოკატურების გადამოწმებას, ევროპული სამართლებრივი ჩარჩოების MID და NAWI-ს შესაბამისად. 2022 წლის დეკემბერი



№3 პროექტის სამეთვადყურო კომიტეტის სხდომა

პროექტის სამეთვადყურო კომიტეტის მესამე შეხვედრა გაიმართა 2022 წლის 25 ნოემბერს. ბ-მა ვიტო ფერნიკოლამ, MS-ის პროექტის დირექტორმა, ACCREDIA, გახსნა შეხვედრა, მიესალმა ყველას და გამოხატა მადლიერება პროექტში გაწეული შრომის და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის. ბ-ნი ფერნიკოლას თქმით, ჩართული მხარეების გულისხმიერების წყალობით – პროექტს გამოწვევების შესაძლებლობად გარდაქმნის რესურსი გააჩნია, რაც პროექტს წარმატებულად აქცევს. მონაწილე მხარეების მოქნილობის ხელშეწყობით შესაძლებელი გახდა პროექტში გარკვეული ცვლილებების შეტანა და GEOSTM-ის პრიორიტეტებთან ადაპტაცია. საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტომ მონაწილეებს აცნობა, რომ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს EURAMET-ის (ევროპის მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტების ასოციაცია) ასოცირებული წევრისა და CEN/CENELEC-ის (ევროპის სტანდარტიზაციის კომიტეტი/ევროპის ელექტროტექნიკური სტანდარტიზაციის კომიტეტი) აფილირებული წევრის სტატუსი მიენიჭა. მინდი ბოიკოვამ, ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების მენეჯერმა, პროექტსა და საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს მიღწეული წარმატებები მიულოცა და Twinning (დაძმობილების) და TAIEX (ევროკავშირის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის) ინსტრუმენტების შესაძლებლობებზე ისაუბრა. საქართველომ, სხვა მონაწილე ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე მეტი Twinning პროექტი განახორციელა და დიდ წარმატებას მიაღწია. მიმდინარე თანამშრომლობა Twinning-ის ფარგლებში არის ბრწყინვალე მაგალითი იმისა, თუ როგორი დადებითი შედეგები მოაქვთ ამ ინსტრუმენტებს მათში ჩართული ყველა მხარისათვის. შეხვედრაზე პროექტის მრჩეველმა, გიულია სურანიმ გააკეთა პრეზენტაცია, რომელიც შეეხებოდა თითოეული კომპონენტის მთავარ საკითხებს და სამომავლო ღონისძიებებს.



პროექტის სამეთვადყურო კომიტეტის სხდომა №3. ნოემბერი 2022 წ

შუადღური კონფერენცია-GEOSTM ღია კარის ღონისძიება

ევროკავშირის Twinning პროექტის შუადღური კონფერენცია 2023 წლის 25 მაისს, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ღია კარის ღონისძიების ფარგლებში ჩატარდება. ღია კარის ღონისძიება ბიზნესის, აკადემიური და სამეცნიერო სექტორების წარმომადგენლებს მისცემს შესაძლებლობას, გაეცნონ იმ მომსახურებას, რომელსაც მათ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო სთავაზობს და მიიღონ დაწვრილებითი თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ინფორმაცია ეროვნული სააგენტოს ექსპერტებისგან შემდეგ დარგებში: სტანდარტიზაცია, ელექტროენერჯია, თერმომეტრია, მასა, წნევა, გამოსხივება, აკუსტიკა, გეომეტრიული გაზომვები, მექანიკა და ფიზიკური ქიმია. ღონისძიების ფარგლებში განხორციელდება შემდეგი

აქტივობები:

- საერთაშორისო ექსპერტების მიერ ჩატარდება რეციკლები სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის შესახებ საჯარო სკოლის მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებისა და ჩართულობის მიზნით.
- შეხვედრები დაბორცობილებში მოწვეული დაინტერესებული მხარეების და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით.
- ევროკავშირის დაძმობილების პროექტის შუადღური კონფერენცია, ევროკავშირის დედეგაციის (EUD) და პროგრამის ადმინისტრაციის ოფისის ENI ქვეყნებში (PAO) წარმომადგენლების მონაწილეობით, რათა წარმოადგინონ ევროკავშირის დაძმობილების პროექტის აქამდე მიღწეული შედეგები, ასევე პროექტების გაგვიანა GEOSTM დაინტერესებული მხარეებისთვის.

დაძმობილების პროექტის გუნდი

პროექტის გუნდი

პროექტის ხელმძღვანელი ბენეფიციარი ქვეყნის მხრიდან

ქ-ნი მარიამ გაბუნია
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დეპარტამენტის უფროსი
ელ. ფოსტა: mgabunia@moesd.gov.ge

პროექტის ხელმძღვანელი ევროკავშირის ქვეყნის მხრიდან

ბ-ნი ვიტო ფერნიკოლა
ACCREDIA-სა და INRiM-ის ირექტორთა საბჭო წევრი
ელ. ფოსტა: v.fernico@accredia.it

პროექტის RTA-ის პარტნიორი ბენეფიციარი ქვეყნის მხრიდან

ქ-ნი ნინო მიქანაძე - მეტროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი
საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო - GEOSTM
ელ. ფოსტა: nino_mikanadze@yahoo.com

დაძმობილების მუდმივი მრჩეველი - RTA

ქ-ნი ჯიუღია სურიანი, ACCREDIA - იტალიის აკრედიტაციის ორგანო.
ელ. ფოსტა: g.suriani@accredia.it

პროექტის საკონტაქტო პირები

პროექტის მენეჯერი

ბ-ნი ჯორდანო ანგელე
ACCREDIA - იტალიის აკრედიტაციის ორგანო
ელ. ფოსტა: g.angle@accredia.it

ატაშე - პროგრამის ოფიცერი

ქ-ნი მინდი ბოჯკოვა
კერძო სექტორის განვითარება, ვაჭრობის ხელშეწყობა.
ევროკავშირის დედეგაცია საქართველოში
ელ. ფოსტა: mindy.bojkova@eeas.europa.eu

RTA-ის ასისტენტი

ქ-ნი თამარ სულავა
ელ. ფოსტა: t.sulava@accredia.it

RTA-ის თარჯიმანი

ქ-ნი ერნა მეგვინიტი
ელ. ფოსტა: e.megvinyte@accredia.it



**ევროკავშირი
საქართველოსთვის**



STANDARDS AND METROLOGY OF
GEORGIA

**მეტროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი
საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის
ეროვნული სააგენტო - GEOSTM**
ჩარგდის ქუჩა 67,0178 თბილისი.საქართველო
Tel/Fax: (+ 995 32) 261 35 00
E-mail: geostm@geostm.ge
Website: www.geostm.ge

